№ 118 მთავრობის მოამგე — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. კვირა, მაისის 30 1920 წ.

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიაროო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 5 ივნისს დღის 12 საათზედ ხსენებულ განყოფილებაში მოხდება საჯარო ვაჭრობა ზეპირ შეჯიბრებით და დაბეჭდილ კონვერტებით წარმოდგენილ განცხადებით ჯარისთვის 1920 წლის 15 ივნისიდან 1921 წლის 15 ივნისამდე 250 ათასადე შეკუმშულ თივის მოწოდების შესახებ.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა წარმოადგინონ პიროვნების მოწმობა და საწინდრად 10 პროცენტი თივის ღირებულებისა.

ვისაც არ შეუძლიან წინდაწინვე სრული საწინდრის წარმოდგენა, შეიძლება საჯარო საჭრობისთვის წარმოადგინოს 5 პროც. დანარჩენი 5 პროც. დაეჭირება მოიჯარადრეს მისაღებ ფულის ანგარიშიდან.

იჯარით შეიძლება გაიცეს როგორც მთელი რაოდენობა თივისა, ისე მისი ნაწილი.

მოიჯარადრეთ შეიძლება მიეცეთ სამნეო განყოფილებისაგან გარდაწყვეტილ ფასებში თივის შესაკუმშად საჭირო ზოგიერთი მასალა.

დაწვრილებითი პირობები მსურველთ შეუძლიათ ინახულონ სამნეო განყოფილებაში ყოველდღე დილის 9—3 საათამდე. მისამართი: ბარიათინსკის ქუჩა № 10. 591 3—2

კავკასიის ბანკის გამგეობა

აცხადებს; რომ 1920 წ. ივნისის 3-ს, დილის 11 ს. სომეხთა ბაზარში, ძმ. მანთაშევების პასაჟში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დამარილებულ თევზზე (ჭანარი) 2740 ფ. (207 ბოჭკა) პირობების გასაგებათ მსურველთ შეუძლიან მიმართონ ბანკის გამგეობას.

599 2—1

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი

სოციალი შემწეობისა და მისი ორგანიზაციისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამ დეკრეტთან დართული სოციალი შემწეობის დროებითი წესი.

2. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შრომის მინისტრის განკარგულებისათვის სოციალი შემწეობისათვის ოცდა ხუთი მილიონი (25.000.000) მანეთი და ეს თანხა შეტანილ იქნეს სახელმწიფოს 1920-1921 წ. ბიუჯეტში.

3. დამტკიცებულ იქნეს ამავე დეკრეტთან დართული სოციალი დახმარების კომიტეტის შტატი და ხარჯთაღრიცხვა ამა 1920 წლის ივნისის 1-დან.

4. მესამე (3) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთაღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შრომის მინისტრის განკარგულებისათვის 1920 წ. ივნისის 1-დან 1921 წლის ივნისის 1-დე ერთი მილიონი ცხრაას ოცდა თერთმეტი ათას ოთხასი (1.931.400) მანეთი.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მაისის 21-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დროებითი წესი სოციალი დახმარებისა.

1. დროებით, ახალი საპენსიო წესდების მიღებამდე, სოციალი დახმარება მიეცემა: ა) სახელმწიფოს ყოფილ მოხელეებს, მოსამსახურეებს, სამხედრო პირთ და სახელმწიფო წარმოებაში ყოფილ მომუშავეებს, რომელნიც თავისი პროფესიონალი შრომის უნარის დაკარგვის გამო ვეღარ შრომობენ; ბ) მათ ქვრივებს გათხოვებამდე და მცირე-წლოვან შვილებს 17-ტი წლის შესრულებამდე.

შენიშვნა 1: ეს წესი არ გავრცელდება იმ პირებსა და მათ ოჯახებზე, რომელნიც აღნიშნულ არიან 1919 წლის იანვრის 31 და ივნისის 10 ორ კანონში: „დახოცილ ან მუშაობის უნარ დაკარგულ სამხედრო პირთა, სახალხო გვარდიელთა და მოხალისეთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის დროებით წესებში“ და „დაზარალებულ მეომართა და იმათ ოჯახების დახმარების კანონში (1919 წ. კან. კრებ. № № 5 და 9).

შენიშვნა 2: საქართველოს არა ქვეშევრდომს შემწეობა მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმეტესი ან ნახევარი დრო თავისი სამსახურისა საქართველოში გაუტარებია და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ უცხოვრია საქართველოში.

შენიშვნა 3: სოციალი შემწეობა სრულიად არ მიეცემა იმ პირთ, რომელნიც მსახურობდენ ძველი რეჟიმის დროს ჟანდარმთა სამმართველოში და დამცველ განყოფილებაში.

2. სოციალ დახმარების მიღების უფლება აქვს პირველ მუხლში აღნიშნულ პირთაგან, მხოლოდ იმას, რომელსაც ლონისძიება არსებობისათვის არ მოეპოვება.

3. სოციალი დახმარება შეიძლება მიეცეს: ა) დროგამოშვებით, ბ) ერთდროულად და გ) თავშესაფარში მოთავსებით.

4. დროგამოშვებითი შემწეობის რაოდენობა განისაზღვრება თვითეული შემთხვევისათვის ცალკე, გარემოებისა და მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 1.000 მანეთისა თვიურად.

შენიშვნა: ინვალიდებს, რომელთაც მოვლა ესაჭიროება, შეიძლება მიეცეს 1.500 მანეთამდე.

5. ქვრივს დროგამოშვებით დახმარებად უნდა მიეცეს ნახევარი იმისა, რაც მის მეუღლეს ერგებოდა, ხოლო მცირეწლოვან შვილებს თვითეულს ერთი მეოთხედი იმავე შემწეობისა, იმ პირობით, რომ საერთო ჯამი ერთი ოჯახის წევრთათვის მისაცემი დახმარებისა არ აღემატებოდეს შემწეობის უდიდეს ნორმას.

6. ერთდროული შემწეობა უნდა მიეცეს არა უმეტეს 3.000 მანეთისა და არა უმეტეს ორი ჯერისა წელიწადში.

7. იმ პირთა შესანახი ხარჯი, რომელნიც თავშესაფარში იქნებიან მოთავსებული, სოციალ დახმარების ფონდიდან უნდა იქნეს გადახდილი დაწესებული ფასის მიხედვით.

8. სოციალ დახმარების საქმეთა გადაწყვეტა ევალება შრომის სამინისტროსთან არსებულ „სოციალ დახმარების კომიტეტს“, რომელსაც თავმჯდომარეობს შრომის მინისტრი ან მისი ამხანაგი და სადაც წევრებად შედიან: თითო-თითო წარმომადგენელი შრომის სამინისტროსი და პროფესიონალი კავშირის ცენტრალი საბჭოსი.

9. შემწეობის მიცემა სწარმოებს ადგილობრივ თვითმმართველობათა საშუალებით.

10. განცხადება სოციალ დახმარების აღმოჩენისათვის უნდა შეტანილ იქნეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადგილობრივი ქალაქის ან სამაზრო ერობის გამგეობაში, რომელიც თვითეულ შემთხვევას შეამოწმებს ორი ექიმის საშუალებით, რომელთა შორის ერთი უნდა იქნეს ქალაქისა ან ერობის სამსახურში მყოფის გამგეობა თავის დანასკვსა და ყოველ საბუთს, მთხოვნელის განცხადებასთან ერთად წარუდგენს შრომის სამინისტროს.

11. კომიტეტის კანცელარიის შედგენილობა განისაზღვრება ამასთანავე დართული შტატით.

1920 წ. მაისის 21.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

შრომის სამინისტროსთან არსებული სოციალ დახმარების კომიტეტისა 1920 წ. ივნისის 1-დან 1921 წლის ივნისის 1-დე.

№№ რიგზე.	თანამდებობა და ხარჯის დანიშნულება	რიცხვი.	თვითეულს თვეში-ლად.	ყველას თვეში-რად.	ყველას 1920 წ. ივნისის 1-დან 1921 წ. ივნისის 1-დე.
1	გამგე	1	6000	6000	72000
2	საქმის მწარმოებელი	1	3000	3000	36000
3	კანცელარიის მოსამსახურე	2	2080	4160	49920
4	მემანქანე	1	2080	2080	24960
5	შიკრიკი	1	1960	1960	23520
	ჯამი	6	15120	17200	206400
6	შემოწმებისა, საექიმო ექსპერტებისა და გამორკვევათა წარმოებისათვის	—	—	—	1400000
7	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯისათვის	—	—	—	250000
8	ავეჯის შესაძენად	—	—	—	75000
	ჯამი	—	—	—	1725000
	სულ	—	—	—	1931400

ერთი მილიონი ცხრაას ოცდა თერთმეტი ათას ოთხასი (1.931.400) მანეთი.

1920 წ. მაისის 21-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქ. სამინისტროში

ცხენების მობილიზაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 25 მაისს შემდეგი შინაარსის დეპეშა დაუგზავნა ქუთაისის, ტფილისის, ბორჩალოს, გორის, სიღნაღის, ზუგდიდის, დუშეთის, ახალციხის, ახალქალაქის სამაზრო ერობათა გამგეობებს, ასევე მილიციის უფროსებს, ქალაქ ტფილისის მილიციის უფროსს და ქალაქ ქუთაისის თვითმართველობებს.

„თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა თქვენდამი რწმუნებულ რაიონისათვის მობილიზაციის წესით წარმოდგენილი უნდა იქმნეს სამხედრო საჭიროებისათვის გამოსადეგი ცხენები 30 მაისისათვის. გატყობინებთ რა ამას წინადადებას გაძლევთ მიიღოთ სასწრაფო ზომები, რათა აღნიშნული რიცხვი ცხენებისა უსათუოდ ამ დღისათვის შეკრებილ იქმნას სამაზრო ქალაქში და გადაცემული სამხედრო ერთეულების მიმღებთათვის. თვითოეულ ცხენისათვის პატრონთ ფული მიეცემათ ხარისხების მიხედვით: პირველისათვის 20.000 მ., მეორესათვის 15.000 მ. და მესამესათვის 10.000 მ. იმ თანხიდან, რომელიც გადაგზავნილი იქნება ამ მოკლე ხანში თქვენს განკარგულებაში სამხედრო სამნეო კომიტეტიდან.

ცხენის მიღების დროს თქვენი მიხედვით მოწვეულ კომისიაში უნდა შედიოდეს სამხედრო უწყების წარმომადგენელი და აგრეთვე ბეითალი.

ამასთანავე გატყობინებთ ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ, რომ მობილიზაციისაგან განთავისუფლებულ უნდა იქმნას: 1) ერთად ერთი ცხენი გაწვეულ სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცთა, 2) გარეშე სახელმწიფოთა მისიების და საკონსულოების კუთვნილი ცხენები და გვარდიის და ჯარის ოფიცერთა ერთად ერთი ცხენი, 3) სახელმწიფო თავლის (Государственнаго коннозаводство) და კერძო პირთა წმინდა ჯიშის და ფაშატი (чистокровныя и чистопородныя) ცხენები, რომელნიც საჭირონი იქნებიან სახელმწიფო თავლის მიზნებისათვის.

ყველა მიღებული ცხენები უსათუოდ ჯანმრთელი უნდა იყვნენ, რათა მიღებისთანავე გამოსადეგი დარჩეს სამხედრო საჭიროებისათვის.

მიღების დროს პატრონთათვის გაცემულ იქმნენ სათანადო მოწმობები“.

ისტორიულ-არქეოლოგიურ შენობების დაცვა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის ცირკულიარი გაუგზავნა ერობათა და ქალაქთა თვითმართველობებს.

„როგორც დამფუძნებელ კრების ხელოვნებისა კომისიის მომართვიდან სჩანს, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში გაფანტულ-არქეოლოგიურ და ხელოვნურ მნიშვნელობის შენობები და ნივთები უყურადღებობის გამო ფუჭდებიან და სპეკულიაციის საგნად ხდებიან.

გატყობინებთ რა ამას კანცელარია გთხოვთ მიიღოთ ზომები, რათა თქვენ რაიონში არსებულ ისტორიულ-არქეოლოგიური შენობები, როგორიც არის ციხე-კოშკები, ძველი საყდრები, მონასტრები და სხვა, დაცულ იქნან დანგრევისაგან და თავის დროზე შეკეთებული, თუ კი ისინი ამას მოითხოვენ. ამასთანავე გვევალებათ წარმოადგინოთ სამინისტროში ცნობები იმის შესახებ, თუ რა ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის საგანნივთები მოიპოვება რაიონში, რომელთა გადმოტანა შეიძლებოდეს ტფილისში საქართველოს მუზეუმისათვის გადასაცემათ“.

პრინცესა მიურატის გამძარცველების შეპყრობა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ზუგდიდის ერობის საოჯახო განყოფილების გამგე ანჯაფარიძისაგან.

„პრინცესა მიურატის სასახლიდან გაძარცული ნივთები მიღებული ზომებით აღმოჩენილ იქმნა. ბოროტ-მომქმედნი დატუსაღებულ არიან. გამოძიება სწარმოებს. სხვათა შორის ზოგიერთი ნივთები აღმოჩენილ იქმნა პრინცესის რწმუნებულ მღვდელ ჭანტურიას სახლში. დაწვრილებით მოხსენებაში“.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

სპეციალისტების მომზადება.

სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგის სპეციალისტების მოსამზადებლათ მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო მეურნეობის განყოფილება იწვევს წლიურ და სეზონის პრაქტიკანტებს საცდელ და სხვა სასოფლო სამეურნეო დაწესებულებებში სამუშაოდ.

წლიურ პრაქტიკანტებად მოწვეულ იქნებიან უმაღლეს აგრონომიულ და საბუნებისმეტყველო სწავლა დამთავრებულნი ან ამავ სასწავლებლების უკანასკნელ კურსის სტუდენტები ერთი წლის ვადით.

დღეს ფრონტის დღეა

მოქალაქენო! ჯერ ომი არ გათავებულა. მიიხადეთ თქვენი ვალი, დაეხმარეთ ფრონტს

ფრონტის დამხმარე მუავარი კომიტეტი

დღეს, 30 მაისს ფრონტის სასარგებლოდ ღამის 3 საათამდის მდიდარი პროგრამით გაიმართება საღამოები

1. დილიდანვე სეირნობა სასახლის ბაღში.
2. გრანდიოზულ პროგრამით: **პირველსა** და **მეორე ქართულ კლუბში.**

ტივოლში
„მერცხალ"-ში
ხელოსანთა კლუბში
ტარტოში (საზაფხ. შენოგაში)
პ ფე „26 მაისში"
ალექსანდრ. გაღში სეირნობა
მუშტ. გაღში მიტინგი-სეირნ.
მუშათა კლუბში

დილამდის გართობა კეთილი მიზნით გამსჭვალული.
შემოწირულებანი უკვიტანციოთ არ მისცეთ.

სეზონის პრაქტიკანტებად—უმაღლეს სასოფლო სამეურნეო სასწავლებელთა სტუდენტები საზაფხულო სეზონისათვის.

დაწვრილებითი ცნობების მიღება და თხოვნების შეტანა შეიძლება მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო მეურნეობის განყოფილებაში (მთავრობის სახლი) ყოველ დღე შუადღის 12-დან 3 საათამდე.

სეტყვა კახეთში.

25 და 26-ს მაისს თელავში და მის მიდამოებში მოსულა დიდი სეტყვა, სეტყვას დაუზარალებია ვენახები, შემოდგომის და საგაზაფხულო მოხნული ყანები. მიწათ-მოქმედების სამინისტროს სთხოვენ საჭირო სიმინდს ახლად დასათესად. საერთოდ ზარალი დიდია. დიდი სეტყვა მოსულა აგრეთვე წინანდალში 18 მაისს და იქაც, როგორც თელავში დიდი ზიანი მიუყენებია ჭირნახულისთვის.

დამფუძნებელი კრება

28 მაისის სხდომა

თავმჯდომარეობს **ე. თაყაიშვილი.**

კომისიებში გადასაცემ შემოსულ კანონ-პროექტებას და დღიურ წესრიგის მოსმენის შემდეგ მდივანი **კ. ჯაფარიძე** კითხულობს დამფუძნებელ კრების სახელზე გამოგზავნილ სომხეთის პარლამენტის მისასალმებელ დეპეშას საქართველოს დამოუკიდებლობის ორი წლის შესრულების გამო.

დამფუძნებელი კრება ავალებს თავის პრეზიდიუმს სამადლობელი დეპეშა გაეგზავნოს სომხეთის პარლამენტს და აგრეთვე მიულოცონ მას სომხეთის დამოუკიდებლობის ორი წლის თავი.

ივ. გომრელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები: აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ დავისა და საჩივრის განხილვის წესის დეკრეტისა, კანონისა მკვიდრთაგან მიტოვებული ყოფილ სახაზინო მიწების სახელმწიფო ფონდში გადასვლის შესახებ; კანონის საბაჟო დაწესებულებათა საკანცელარიო გადასახადის ნიხრის გადიდების შესახებ; საისტორიო-საარქეოლოგიო, სამხატვრო და საკულტურო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის აკრძალვის შესახებ და ტფილისის სასახლის საკანონმდებლო დაწესებულების საბინადროდ აღიარებისა.

დ. ონიაშვილი მოახსენებს მთავრობის მოამბის „საქართველოს რესპუბლიკის" შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების დეკრეტს.

ვლ. შენგელაია აღნიშნავს, რომ ეს გაზეთი ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ამ გაზეთს არავინ კითხულობს და შიგაც არაფერი სწერია. მოისუსტებს ინფორმაციის მხრივ, მასში არ იწერება პოლიტიკური წერილები, დამფუძნებელ კრების ოპოზიციის წევრების სიტყვებს არ ათავსებენ ვრცლად და რასაც ბეჭდავდენ ისიც ტენდენციურათ. ამ მხრივ უკეთესი იყო ადერბეიჯანის მთავრობის მოამბე „ადერბეიჯანი".

შენგელაიას უპასუხებს შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი**, რომლის სიტყვასაც დავბეჭდავთ შემდეგ ნომერში.

ბ. თევზაია აღნიშნავს, რომ მიზანი შენგელაიასი ერთია. მას უნდოდა ეთქვა, რატომ ჩემი სიტყვები ვრცლათ არ იბეჭდება გაზეთში. ამ საკითხს მან შორიდან მოუარა. დაიწუნა გაზეთის ინფორმაცია, განაცხადა, რომ მასში პოლიტიკური წერილები არ იბეჭდებაო და დაბოლოს შეეხო იმას, რაც მას აწუხებს. ოპოზიციის დეპუტატების სიტყვები ვრცლათ არ იბეჭდებაო. მაგალითი მოიყვანა ადერბეიჯანის მთავრობიდან. წელან ადგილიდანაც რესპუბლიკის სახით განვაცხადე და ახლაც ვამბობ, რომ ბაქოში ოფიციალური ორგანო გამოდიოდა თათრულ და რუსულ ენებზე, რაც შეეხება გაზეთ „ადერბეიჯანს" ის არ იყო ოფიციალური ორგანო. ის იყო მთავრობის ოფიციოზი. ლეო შენგელაია შეეხო საგარეო პოლიტიკასაც და განაცხადა დიპლომატია არ გივარგათო. ჩვენი საგარეო პოლიტიკა კარგი პატრონების ხელშია, ერთი კი ცხადია შენგელაიას რომ მოუხდეს ამ პოლიტიკის წარმოება ის ჩვენ ქვეყანას დაღუპვის კარამდე მიიყვანს. მთავრობის მოამბე არ მოსწონთ იმიტომ, რომ მათ სიტყვებს ვრცლათ არ ბეჭდავს. ეს კი შეუძლებელია. ამ გაზეთში პირველ ყოვლისა კანონები უნდა იბეჭდებოდეს, ცნობები და შემდეგ კი სიტყვები.

შენგელაია კვლავ აღნიშნავს, რომ ეს გაზეთი ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე და მოითხოვს მის დახურვას.

კამათი დასრულდა. დ. ონიაშვილი კითხულობს დეკრეტს მუხლობრივათ, რომელიც უკამათოდ მიღებულ იქნა.

დ. ონიაშვილი მოახსენებს დეკრეტს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

ნ. ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ სააგენტო არ სდგას სათანადო სიმაღლეზე, ის ამახინჯებს ოპოზიციის დეპუტატების სიტყვებს და სანამ ეგი არ დასდგება სათანადო სიმაღლეზე კრედიტს ვერ გაუხსნით.

ვ. რუსი უპასუხებს რა ნუცუბიძეს აღნიშნავს, რომ შეუძლებელია სააგენტომ ყველა დეპუტატების სიტყვები ბეჭდოს ვრცლათ. სააგენტომ უნდა გადასცეს პირველ ყოვლისა მინისტრების სიტყვები, რომლებიც აქ გამოდიან მთავრობის სახელით და ხალხმა უნდა იცოდეს თუ რას ფიქრობს ამა თუ იმ საკითხის შესახებ მისი მთავრობა. დამფუძნებელ კრებას ყავს თავისი სტენოგრაფები, რომლებიც სწერენ ყველა დეპუტატების სიტყვებს და თუ შესაძლებელი იქნება ფინანსიურათ ვბეჭდოთ ეს სტენოგრამები და ვავრცელოთ ხალხში, სააგენტოს კი ეს ვერ დაეკისრება.

კამათში მონაწილეობა მიიღო შენგელაიამ, დ. ონიაშვილმა. დასრულ მიღებულ იქნა წარმოდგენილი დეკრეტი.

ერობა

ცხენების მობილიზაცია.

ტფილისის სამაზრო ერობა ცხენების მობილიზაციის მოსახდენად რაიონებს ჰყოფს ცალ-ცალკე. მაზრა გაიყოფა შემდეგ რაიონებად: 1) ყარაიაზის რაიონი, 2) გარე-კახეთის რაიონი, 3) გარე-უბნის რაიონი, 4) აღბულაღის რაიონი და 5) მანგლისის რაიონი.

თვითეულ რაიონებში დანიშნულია განსაკუთრებითი მიმღები კომისია: ყარაიაზის რაიონში სამობილიზაციო კომისიას შეადგენენ: გამგეობის წევრი გ. ი. კანდელაკი (კომისიის თავმჯდომარედ), ივ. ზოდელავა, ექიმი-ბეითალი კ. თაყაიშვილი და სამხედრო უწყების წარმომადგენელი; გარე-კახეთში კომისიას შეადგენენ გამგ. წევრი ე. ავალიშვილი (თავმჯდომარე) თითო წარმომადგენელი თემის გამგეობისა, ბეითალი-ექიმი კ. ურდინოვსკი და სამხ. უწყების წარმომადგენელი, 3) აღბულაღში კომისიაში არიან ი. ქურდიანი (თავმჯდომარე), აღბულაღის საბეითალო პუნქტის ფერშალი ხომერიკი, თემთა გამგეობის წარმომადგენელი და სამხ. უწყებიდან; 4) გარე-უბნის კომისიაში-თავმჯდომარე კილასონია, ბეითალი ექიმი თაყაიშვილი, სამხედრო უწყების წარმომადგენელი და ბ. კანდელაკი; 5) მანგლისის კომისიაში გამგ. წევრი ექ. ი. ლომოური (თავმჯდომარე) თემის წარმომადგენელი, სამხედრო უწყების და ადგილობრივ სახელმწიფო ბეითალი.

მობილიზაცია გამოცხადებულია რაიონებში შემდეგ დღეებში: 1) გარე-უბანში 22 მაისს; 2) ყარაიაზის რაიონში 30 მაისს; 3) გარე-კახეთში 30 მაისს; 4) ასურეთ-აღბულაღში 30 მაისს; 5) მანგლისის რაიონში 31 მაისს.

ფრონტის დახმარება.

ტფილისის სამაზრო ერობის გამგეობამ სასურსათო განყოფილების განკარგულებაში ფრონტზე დასახმარებლად სხვა და სხვა საჩუქრების გასაგზავნად გადასდო 20 ათასი მ. ამავე დროს გამგეობამ მოსამსახურეთა კავშირს სთხოვა, რომ მათაც თავიანთ მხრივ მიიღონ ზომები საჩუქრების შესაგროვებლად და ფრონტზე მებრძოლ ჯარისკაცთ გაუგზავნონ.

მუნიციპალ. ცხოვრება

ლანჩხუთის ქალაქის საბჭოში.

15 მაისის სხდომა.

განხილულ იქნა შემდეგი საკითხი: 1) ხეტყის მოტანა მოქალაქეების მიერ ქალაქის დაწესებულებათათვის; 2) წიგნების განათხოვრების შესახებ წესი ქალაქის წიგნთ-საცავ სამკითხველოდან; 3) გადასახადის დაწესება მოწმობებზე; 4) გადასახადის დაწესება ხეტყის მრეწველებზე და ხორბლეულობის მოვაჭრეებზე; 5) სესხის აღება ქალაქის მიერ მუნიციპალურ საჭიროებისათვის; 6) კონსტანტინე ებრალიძის თხოვნა,-განცხადება.

1) პირველ კითხვის შესახებ გამგეობის მოხსენების შემდეგ დადგენილ იქნა: სხვა და სხვა დაწესებულებათათვის შენობის ასაგებათ, როგორც არის მაგალითად ქალაქის თვითმართველობისათვის ბინა, ყველა უბნებში სკოლის აგება, იქნას შემოღებული ნატურალური ბეგარა მოქალაქეებზე, დაევალა გამგეობას ყველა მოქალაქემ მიიღოს მონაწილეობა, რითაც შეუძლია; ვისაც ხარ-ურემი ჰყავს, ურმით, ვისაც ასეთი არ ჰყავს, მან მუშაობით.

2) ქალაქის წიგნთ-საცავ-სამკითხველოდან წიგნებით სარგებლობისათვის დადგენილ იქნა: დადასტურებულ იქნას სამკითხველოსთვის შეძენილ წიგნებზე გამგეობის მიერ გაწეული ხარჯები 14,000 მან., გამგეობას უფლება ეძლევა გაიღოს კიდევ თხუთმეტი ათასი (15000) მანეთი ქართულ წიგნების შესაძენათ. სამკითხველოდან წიგნების წამღებმა ბეთ უნდა შემოიტანოს ხუთი თუმანი (50 მ.) თვითეულ წიგნზე, წიგნით სარგებლობისათვის სამკითხველოს სასარგებლოთ თვეში გადახდეს ათი (10) მანეთი, წიგნები განათხოვრდეს ერთი თვით. წიგნის დაკარგვისთვის მოქალაქეს გადახდეს წიგნის ღირებულება.

3) საბჭომ მოისმინა რა გამგეობის მოხსენება მოწმობებზე გადასახადის დაწესების შესახებ, დაადგინა: დღიდან შემოღებულ იქნას გადასახადი გაცემულ მოწმობებზე კანონის მიხედვით. თვითეულ გაცემულ მოწმობაზე დაწესდეს გადასახადი 10 მან.

4) გადასახადი დაწესდეს ხე-ტყის მრეწველზე და მსხვილ ხორბლეულობით მოვაჭრეებზე; გადახდეს მოქალაქეს ეზოს გეგმის გადაღებისთვის განსაკუთრებული თანხა, რის განსაზღვრა მიენდოს გამგეობას.

5) ნესტორ მშვიდობაძის მიწის შესახებ დადგენილ იქნა: ვინაიდან მშვიდობაძეს მიწა შეძენილი აქვს ნაძარცვი ფულით, ჩამოერთვას მის მემკვიდრეებს მიწა, რადგან ის ქალაქს სჭირდება საცდელი მიწის მოსაწყობად, სათანადო შუამდგომლობა აღძრულ იქნას მთავრობის წინაშე.

6) საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ წილოსანი აცნობს საბჭოს, რომ მის სახელზე შემოვიდა თხოვნა აბანოს შენობის პატრონ კონსტანტინე ებრალიძისაგან, სადაც ის ითხოვს, რომ მას დაუბრუნდეს აბანო, რათა შეეძლოს საკუთრად მისი წარმოება.

საბჭომ იმსჯელა რა ამ საკითხის შესახებ, დაადგინა: დაევალოს გამგეობას, რომ მან შემდეგი სხდომისთვის წარმოადგინოს პროექტი დამატებისა იმ ხელშეკრულებაზე, რომელიც დადებული აქვს ქალაქის გამგეობას კონსტანტინე ებრალიძისაგან, მიღებულ იქნას მხედველობაში მეპატრონე კონსტანტინე ებრალიძის ეკონომიური მდგომარეობა განთავისუფლდეს ნახევარი მიწა, გარდა იმისა, რაც სჭირდება აბანოსათვის.

7) სესხის აღების შესახებ საბჭომ მოისმინა ქალაქის მოურავის მოხსენება და მიიღო შემდეგი დადგენილება: მუნიციპალური საჭიროების წარმოების გასაფართოებლად აღებულ იქნას სესხად ერთ მილიონ ნახევარი ($1^1/_2$) მანეთი მოკლე ვადიანად და უპროცენტოთ.

შემდეგ მოსმენილ იქნა განცხადებები ხმ. სიხარულიძის და ევგენი ებრალიძის. თავის განცხადებაში თეოფანე სიხარულიძე აცნობს საბჭოს, რომ ამა მაისის დამლევისთვის ქალ-ტფილისში მოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა და ითხოვს იმ ყრილობაზე ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციიდან გაგზავნილ იქნას ერთი წარმომადგენელი.

ხმ. ევგენი ებრალიძე აცხადებს, რომ სარევიზიო კომისია ორჯერ შეეცადა რევიზიის მოხდენას, მაგრამ ვერ შესძლო სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო და ამას ამბობს საბჭოს საყურადღებოდ.

ქალაქის მოურავი უპასუხებს, რომ ქალაქს დიდი საქმე ჰქონდა, მისი მოგვარება მოითხოვდა ხუთ ბუხჰალტრის დაქირავებას, ჩვენ კი ერთი ბუხჰალტრის მეტი არ გვყავს უსახსრობის გამო. ბუხჰალტერი კი რაც შეიძლება მუშაობს და ერთ თვეში კიდეც მოათავებს საქმეს, რის შემდეგ სარევიზიო კომისიას საშუალება მიეცემა შეუდგეს დაკისრებულ მოვალეობის აღსრულებას.

საბჭომ მოისმინა რა განცხადება სარევიზიო კომისიისა და განმარტება გამგეობის—გამოსთქვამს სურვილს ადრე იქნას ანგარიშები დათავებული.

უცხოეთი

ჩეხო-სლავაკიის სოციალ-დემოკრატების გამარჯვება.

პარიზის გაზეთის „პრავოლიდუ"-ს გადმოცემით ჩეხო-სლავაკიაში დეპუტატთა პალატაში არჩეულნი არიან უმრავლესობა სოც.-დემოკრატები 77 კაცი, გერმანელი სოციალ-დემოკრატები—32; მადიარ სოციალ-დემოკრატები—10; ნაციონალ-დემოკრატები—22 კაცი.

ლატვია და საბჭოთა რუსეთი.

კოპენჰაგენის გაზეთი „ბერლინგსკე ტიდენდე" რეველიდან იტყობინება, რომ ლატვიის და საბჭოთა საზავო დელეგაციის პირველი სხდომა შესდგა აპრილის 16 იოფეს თავმჯდომარეობით. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ლატვიის წამოყენებული ზავის პირობები სრულიად მისაღებია რუსეთისათვის. ორი-

ვინც ფრონტს არ დაეხმარება
ის თავისუფალ სამშობლოს მოღალატეა

ვე ქვეყნის დელეგაციას სწამთ, რომ ისინი მორიგდებიან ყველა სადავო საკითხებში.

ფინლიანდიის თავდაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ დანიამ, შვეციამ და ნორვეგიამ თავიანთი არმიის რეორგანიზაცია მოახდინეს, ფინლიანდია თავის ჯარისთვის ახალ რეფორმებს ამზადებს. ამ ჟამად ფინლიანდიას თავის არმია განაწილებული ჰყავს სამ ადგილას: ჰელსინგფორსში, ვიბორგში და წმინდა მიხეილში. ამას გარდა თითქმის ყოველ ცოტაოდენად მოზდილ ქალაქებში სდგანან თითო ბატალიონი. სამხედ: რო ნაწილებში სამხედრო სამსახურის ვადა განისაზღვრება 18 თვით.

პოლონეთი

პოლონეთი თავის რკინის გზებისთვის ამერიკაში ყიდულობს 4000 ვაგონს.

ლატვია და უკრაინა.

ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა უკრაინის მისსიას რიგაში ჩაბარა უკრაინის დამოუკიდებლობის ცნობის აქტი ლატვიის მიერ. ლატვიის და უკრაინის შორის დაარსს და სპეციალი კომისია, რომელსაც დაევალა უკრაინას და ლატვიის შორის მოაწყოს საქონლის გაცვლა-გამოცვლა.

ადერბეიჯანი

— კავკავის „კომუნისტ“-ში ბაქოს შემდეგი ცნობაა დაბეჭდილი:

სამხედრო-საზღვაო ნარკომმა ოლდრიმმა განაცხადა, რომ ადერბეიჯანის წითელი არმია გარდაიქმნება რუსეთის საბჭოთა ჯარის მსგავსათ. პირველ დღეებში ასკერებში ბევრი დეზერტირი იყო, ეხლა კი ისევ ბრუნდებიან. წითელ-არმიელებსა და ასკერებს შორის მეგობრული განწყობილებაა. მე-11 არმიის შტაბი აძლევს მათ ინსტრუქციებს და წესდებებს და ასკერები მალე შეითვისებენ ახალ წესებს.

— ადერბეიჯანში საგარეო ვაჭრობის ნაციონალიზაცია ხდება და გადადის სოვნარკომის უწყებაში.

— კომპროდმა ნება მისცა „ცენტროსოიუზს“ რომ გაეგზავნოს მოსკოვში საბჭოთა რუსეთს 500 ფ. სანთელი, 300 ფ. ჩაი, 500 ფ. კაკაო და სხვ.

— ბაქოდან ასტრახანში ყოველდღიურათ იგზავნება 700.000 ფ. ნავთი. დღემდე ბაქოდან გაგზავნილია საბჭოთა რუსეთში 3 მილ. 837.579 ფ. ნავთის ნაწარმოები.

— ბაქოში მზადებაა მომავალ მუშათა, ასკერთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებისთვის. შესდგა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდენ ადგილობრივი კომუნისტები და მოსკოვის წარმომადგენელი ოტუკანოვი. პროვინციებიდან რევკომს მოდის მისალმებანი.

სოჩეთი

—მინისტრთა საბჭომ ფინანსთა და მომარაგების მინისტრებს დაავალა რომ მათ კარაკლისიდან გადმოატანონ ფქვილი დელიჯანის და ახალ ბაიაზეთის დამშეულ მცხოვრებთა შორის გასანაწილებლად.

—ივნისში ერევანში შესდგება სომხეთის პოლიტიკურ პარტიის „რამქავარების“ (დემოკრატების) ყრილობა. ყრილობის გათავების შემდეგ ყველა პარტიებიდან მოწვეული იქნება საერთო კრება, რომელიც გამოიმუშავებს ისეთ პლატფორმას, რომლითაც შესაძლებელი იქნება ყველა პარტიების შეერთება ეროვნულ პარტიად.

— ალექსანდროპოლის ამბოხების მეთაური ა. მელქონიანს, რომელიც მიჰყავდათ ვაგარშაპეტიდან ერევნის სატუსაღოში, გაქცევა დაუპირებია და მოუკლავთ.

— ამერიკის სომხეთის დამხმარე კომიტეტს მზრუნველობის მინისტრისთვის გადაუცია 4 ფურგონი ტანსაცმელი ერევნის რაიონის მცხოვრებთა დასარიგებლად.

გათომი

— ბათუმის მცხოვრებთა აღწერა უკვე დასრულდა. ქალაქის მცხოვრებნი სულ ყოფილა 43348 სული. აქედან ქართველები—10.112; რუსები (ლტოლვილებით)—7.302; სომხები 12.836 (ამათ შორის 5240 ლტოლვილია); ბერძნები—8598 (ლტოლვილნი—1545); ებრაელები ლტოლვილებით—1705; ევროპიელები სხვა და სხვა ეროვნების 1182 ოსმალონი— ლტოლვილებით—1834 კაცი; აზიელები სხვა და სხვა ეროვნების 1789

—განათლების მინისტრის განკარგულების თანახმად ბათუმის სასწავლებლებსა და გიმნაზიებში გამოცდები დაიწყება 12 ივნისიდან. თხოვნები მიიღება 10 ივნისამდე.

— საქართველოს საკონსულოში ქართველების რეგისტრაცია გრძელდება. მოქალაქენი თავისუფლად მიდიან სარეგისტრაციოდ.

† ნოე ჩხიკვაძე

დღეს სამარეს ვაბარებთ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლითა და მომავლის სიყვარულით აღსავსე პოეტს ნოე ჩხიკვაძეს. განსვენებული ხალხის, დემოკრატიის წიაღში დაიბადა და აღიზარდა; იმ თავიდანვე დაისახა მიზნად სამსახური დემოკრატიისადმი და თავის ჩანგიც ამ მხრივ მომართა. განსვენებულს ახასიათებდა მოქალაქობრივი გამბედაობა და სიმტკიცე, და მის პოეზიასაც ამ თვისების დაღი აჩნს. შავი რეაქციის დროსაც, როცა აკრძალული იყო თავისუფალი სიტყვა, მაშინაც გაბედულად მოუწოდებდა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ ქუჩაში საბრძოლველად; მისი ლაღი, მოუსვენარი სული ვერ ურიგდებოდა ირგვლივ გამეფებულ წყვდიადს... ნატრობდა მზიან დღეებს, მოესწრო, მაგრამ, ვაი, რომ ბოლომდე ვეღარ დასტკბა თავისი თავისუფალი სამშობლოს სიყვარულით. მონურ საქართველოში დატანჯული პოეტის სული ეხლა პოებდა სულის შვებას, ეხლა გაშლიდა ფართოდ ფრთებს დავინიცის კიდევ რამდენ საუკეთესო მარგალიტებს შესძენდა ქართულ პოეზიას, მაგრამ ბედმა უმუხთლა—შეუბრალებელმა სიკვდილმა აღარ აცალა. ჭეშმარიტად საუკეთესო ძალა დაკარგა ქართულმა პოეზიამ... მოკვდა საავადმყოფოში, ვინ იცის როგორ ენატრებოდა სიკვდილის დროს თვალი გადაევლო უმწეოდ დარჩენილ თავის წვრილი ცოლშვილისათვის. ნუ თუ ასეთი უნდა იყოს მუდამ ქართველ პოეტის ბედი?! მის დარჩენილ ცოლშვილს მაინც გაუწიოთ პატრონობა, მათ ხომ მეტი მზრუნველი და შემბრალე აღარ დარჩენიათ... ვიზრუნვოთ მათთვის, აღვზარდოთ ნოეს ობლები, ნუ ვაგრძნობინებთ მათ უმამობას, ეს იქნება მგოსნისთვის საუკეთესო ძეგლი...

ახალი ამბები

✦ გენერალურ შტაბის ცნობით 28 და 29 მაისის განმავლობაში ყველა ფრონტზე სიწყნარე იყო.

✦ ფრონტის დღეები: დღეს 30 მაისს დილით: 1) მოხდება ყულაბებით ფულის აკრეფა. 2) სასახლის ბაღში დიდი სეირნობაა დანიშნული. 3) ქუჩებში გაიმართება აუქციონი. 4) სეირნობა ალექსანდრეს ბაღში. 5) რესტორანების მოვლა. საღამოს: 1) რაიონებში სეირნობა -და გართობა. 2) ყულაბებით მოვლა გასართობ დაწესებულებათა. 3) საღამოები ღამის 3 საათამდის: პირველსა და მეორე ქართულ კლუბებში, ტბილოლში, მერცხალში, ხელოსანთა კლუბში, ტარტოში, კაფე „26 მაისი„, მუშტაიდის კლუბში, მუშათა კლუბში და სხვა.

✦ ახლო მომავალში რუსეთიდან ტფილისში მოელიან საქართველოს დელეგაციას და მის თავმჯდომარეს ბ-ნ გ. ურატაძეს.

✦ დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის 26 მაისის სადღესასწაულო ჟიურიმ 26 მაისის დღესასწაულის დამშვენებისთვის საავიაციო გუნდს მიუსაჯა ჯილდო დაფნის გვირგვინი ლენტი, ზედ წარწერით „ქართველ ერის უდიდესი დღესასწაულის 26 მაისის დამშვენებისთვის დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიისგან“.

✦ 25 და 26 მაისს კახეთში (თელავის მაზრაში) დიდი სეტყვა მოსულა. დაზარალებულია ვენახები და ყანები.

✦ დამფუძნებელმა კრებამ სომხეთის პარლამენტს სომხეთის დამოუკიდებლობის ორი წლის შესრულების გამო ერევანში გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა.

✦ დღეს საბალხო სახლში წარმოდგენილი იქნება რ. გოგნიაშვილის ორგინალური ქართული ოპერა „ქრისტინე“. მონაწილეობას მიიღებენ ოპერის საუკეთესო მსახიობნი. მზადდება დასადგმელად ამავე ავტორის ახალი ოპერა „ჯადოსანი“.

✦ 4 ივნისს საღამოს 7 საათზედ შესდგება საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის სხდომა. დღის წესრიგში არის ყრილობის პროგრამა.

✦ დამფუძნებელ კრებას და მთავრობის თავმჯდომარეს პროვინციებიდან აუარებელი მისასალმებელი დეპეშები მოსდის 26 მაისის დღესასწაულის გამო.

✦ 26 მაისის დღესასწაულს საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში და სოფლებში ბრწყინვალეთ ჩაუვლია.

✦ წინასწარი მუშაობა ყველის და ერბოს სახდელ ქარხნებში დამთავრდა. მიღებულია ზომები, რომ შემდეგშიაც ნაყოფიერად იყოს გაგრძელებული მრეწველობის საქმის წარმოება.

✦ თავდაცვითი საბჭომ დაადგინა: ფრონტზე გაგზავნილი და იქიდან გამოგზავნილი ბარათები ყველა მეომრებისა განთავისუფლებულ იქნას ყველა საფოსტო გადასახადისგან. მისამართის ფორმა უნდა იყოს მარტივი, ასეთი სახისა: მომქმედი ჯარი. შემდეგ სამხედრო ნაწილის სახელი, მისამართი და გვარი.

✦ 28 მაისს, სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორი წლის შესრულების თავმა ტფილისში მშვენივრად ჩაიარა.

მილიციაში

— 22 მაისს ს. ბაგდასაროვმა განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მას მოპარეს ბინიდან ნიკოლოზისა და კერენსკის ფული 35.000 მ., აქციები და პროცენტ. ქაღალდ. სულ 50.000 მ. მილიციამ გამოარკვია, რომ აღნიშნული ფული და ქაღალდები მოუპერავს ბაღდასაროვის მსახურს ევდოკია კორხოვას, რომელსაც ფული სრულად აღმოაჩნდა და ქაღალდები კი დაუწვავს.

— ქალაქის საბჭოს დადგენილებით სისხლ. სამ. მილიციის უფროს აგენტთა რიცხვი მრავლდება 15-დან 20-მდე, უმცროს აგენტთა 23-დან 28-მდე და კანცელარიას მიემატა ერთი მწერალი.

— სისხლ. სამ. მილიციამ სამსახურიდან დაითხოვა უფროსი აგენტი მ. ცკიტიშვილი, რომელსაც ძმ. ჩილინგაროვებიდან ქრთამის აღება ბრალდებოდა. გამოირკვა რომ ცქიტიშვილი დამნაშავე არ არის, რის გამო ის გაანთავისუფლეს და თავის თანამდებობაზე დასტოვეს. განთავისუფლდა აგრეთვე დევდორიანი, რომელსაც ბრალი ედებოდა ამ საქმეში. ძმ. ჩილინგაროვები კი დაპატიმრებული არიან ქალაქთა კავშირიდან მოპარულ მავთულის გაყიდვისათვის.

— სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო გრიგოლ ჩიკვაიძე, რომელიც არ გამოცხადდა სამხედრო ბეგრის მოსახდელად. იგი გადაეცა ქალაქის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის უფროსს.

ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგად. გამგეობა.

საზ. წესდ. 73 § თანახმად ამით აცხადებს, რომ 1920 წლის 25 ივნისს, დილის 11 საათზე, გამგეობის შენობაში, საკუთარ სახლში პუშკინის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაუმეორებლად უძრავი მამული ქვემო ჩამოთვლილ პირთა, მათ მიერ საზოგადოებიდან აღებულ სესხზე ხვედრი გადასახადის შემოუტანლობის გამო, ტფილ. სამოქალაქო საკრედიტო საზოგადოების წესდების §§ 11, 12, და 13 ძალით გაიყიდება. ეს ვაჭრობა, თუ უშედეგო იქნა, მეორედ და უკანასკნელად მოხდება 1920 წ. ივლისის 2 იმ შემთხვევაში, თუ პირველი და მეორე ვაჭრობა ვერ დასრულდა ივნისის 25 და ივლისის 2, 1920 წ., ვაჭრობა მოხდება შემდეგ დღეებში.

774. აივაზოვი ალექსანდრე, შენობები მიწით ზომით 200 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება, მე-6 უბ. ნავთლული (ყოფილი ბაღის ქ.) ეხლა მანაევის ქ. დარჩენილი გადასახადი 258 მ. 40 კ.

1140. ზანდუკელი ოთარი, სამ სართულიანი სახლი ორი ნაჭერი მიწით ერთი ზომით 23½ კვ. ს. მეორე 9,9 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება, მე-2 უბ. ყოფ. 2-რე ნაგორნი ქ., ეხლა პრიუტის ქ. კაპიტ. ვალი 62 მან. 89 კ., დარჩენილი გადასახადი 594 მ. 77 კ.

1305. ხიზანოვი კონსტანტინე (მემკვიდრე) შენობები სამი ნაჭერი მიწით, პირველი ზომით 30 კვ. ს., მეორე 56 კვ. ს. და მესამე 17 კვ. ს. საზოგადოების არხიტექტორის აღწერილობით სამივე შეერთებულია ერთ ნაჭრათ, რომლის საერთო ზომა—9343 კვ. ს., მე-4 უბ. ნორაშენის ქ. და ექიმის (ზახარიევსკის) შესახვევი კაპ. ვალი 1902 მ. 80 კ., დარჩენილი გადასახადი 2638 ბ. 77 კ.

1777. სიმონოვი სერგო და ესაიანცი ამბარცუმი. მიწის ნაჭერი ზომით 507 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება ერთსართულიანი სახლი, ორსართულიანი ფლიგელი და შენობებით 8 უბ. გონჩარნის ქ., კაპ. ვალი 3074 მან. 03 კ., დარჩენილი გად. 1721 მ. 90 კ.

2480. ჩიქოვანი ზაქარია, მიწა ზომ. 280 კვ. საჟ. საზოგადოების არიქტექტორის გაზომვით 236½ კვ. ს. ორი ორსართულიანი სახლით და ორი ორსართულიანი ფლიგელით მერვე უბ. პესკოვისადა დესიმონოვის ქ. კუთხე, № 95, კაპ. ვალი 20812 მ. 02 კ., დარჩენილი გადასახადი 3240 მ. 02 კ.

2517. ლიუტი კანონი. ორი ნაჭერი მიწა, ერთი ზომით 100 კვ. ს., მეორე 28 კვ. ს., საზოგადოების არქიტექტორის აღწერით კი შეერთებული ერთ ნაჭრათ ზომით 156 კვ. ს., შენობით, 6 უბ., სეიდაბადის აღმართი, კაპიტ. ვალი 2363 მან. 15 კაპ. დარჩენილი გადასახადი 963 მან. 90 კ.

2564. კვეეს კლარა, მიწა ზომით 1 დეს. 333 კვ. ს. შენობით, 10 უბ., დიდუბე, ელისაბედის ქ., საჯირითო წრის პირდაპირ. კაპიტ. ვალი 11483 მან. 3 კ., დარჩენილი გადასახადი 1900 მ.

2700. მალინოვსკი იოსებ (მემკვიდრე), 2 ნაჭერი მიწა, ერთი ზომით 58 კვ. ს., მეორე 30,29 კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება, ორ სართულიან სახლით, მასთან ორი ფლიგელით, რომელთა შორის ერთი ერთსართულიანია, 2 უბ., მესამე თეატრალური ტუპ. კაპ. ვალი 3010 მან. 4 კ. დარჩენილი გადასახადი 1337 მან. 84 კ.

2870. სოგომონოვები ავაკი და შამირი 3 ნაჭერი მიწა ზომით 132½ კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება ორი სამსართულიანი სახლით. 5 უბ., ხლებნისა და გეორგიევის მოედნის შესახვევი და ფეთხანის ქ. კაპ. ვალი 33,804 მან. 32 კ. დარჩენილი გადასახადი 9,648. მან. 32 კ.

3168. ლუდუშაური ივანე და ილია. მიწა ზომით 220 კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება ერთ სართულიან სახლით და ერთსართულიანი ფლიგელ სარდაფით 8 უბ. დესიმონოვის მოედანი, კაპ. ვალი 6937 მან. 80 კ., დარჩენილი გადასახადი 1,667 მან. 46 კ.

3235. ავან-იუზბაშოვი ხან საგნახსკი დავით. 3 ნაჭერი მიწა ზომით ერთი 900 კვ. ს., მეორე 183 კვ. ს. და 7½ არშ., მესამე 193²/₂₅ კვ. საჟენი ან რამდენიც აღმოჩნდება ყველა მათზე მდებარე შენობებით და კუთვნილობით, 2 უბ. რუსთაველის პრ. ევსტაფიევის და ტიპოგრაფის ტუპიკი. კაპიტ. ვალი 261,729 მან. 37 კ. დარჩენილი გადასახადი 90,923 მან. 82 კ.

3392. კაზაროვი სოლომონ (მემკვიდრე) მიწა ზომით 90 კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით 2 უბ. ჭავჭავაძის და თხინვალის ქ. შესახვევი. კაპ. ვალი 2988 მ. 88 კ. დარჩენილი გადასახადი 1220 მან. 13 კ.

3594. სოგომონოვი ავაკ, მიწა ზომ. 181 კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება, ერთ სართულიანი სახლით და ქვის სარაიებით, 8 უბ. პანასევიჩის ქ. კაპიტ. ვალი 4507 მ. 17 კ. დარჩენილი გადასახადი 1483 მ. 10 კ.

4174. იედიგაროვები ისმაილ-ბეკ, ალი-ბეკ, დანიელ-ბეკ, კიზი-ხანუმა, ალია-ხანუმა და ნისა-ხანუმა, მიწა ზომ. 5 საჟ. და 5 არშ. კვ. ორსართულიანი სახლით. 5 უბ. რკინის რიგზე, კაპიტ. ვალი 1963 მ. 46 კ. დარჩენილი გადასახადი 999 მ. 33 კ.

4445. ჰაპიშვილი დავით, მიწა ზომით 100

მოქალაქენო! ჩვენი საუკეთესო შვილნი ფრონტზე სისხლსა ღვრიან. თქვენ ქონებას მაინც ნუ დაიშურებთ, შეესწირეთ ფრონტს უხვათ.

კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება, 5 უბ. მირზოევისა და სეიდაბატის ქ. კაპიტ. ვალი 4099 მ. 68 კ. დარჩენილი გადასახადი 1184 მან. 45 კ.

4499. ანტონოვები ეკატერინე, ლევანი, პეტრე და ბაგრატი, მიწის ნაჭერი ზომით 450 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით, 3 უბ. ბებუთოვის ქ. კაპიტ. ვალი 20.315 მან. 61 კაპ. დარჩენილი გადასახადი 3125 მ. 87 კ.

4530. ტფ. კომერციული სასწავლებელი, ორი ნაჭერი მიწა, ერთი ზომით 634 ნახ. კვ. ს.. მეორე 202 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება, შენობებით, 8 უბ. 19-თებერვლისა, პანასევიჩისა და ეკატერინეს ქ., კაპიტ. ვალი 378155 მ. 26 კ., დარჩენილი გადასახადი 36212 მ. 58 კ.

5580. აბაშიძე გიორგი, მიწის ნაჭერი ზომით 106 კვ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით, 10 უბ., ტრამვაის ქ. № 2, კაპიტ. ვალი 5029 მ. 51 კ., დარჩენილი გადასახადი 952 მ. 83 კ.

4918. ახნაზაროვა ეკატერინე, მიწა ზომით 150 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება. ორსართულიანი სახლით და სარდაფით. სამი ორსართულიანი და ერთი ერთსართულიანი ფლიგელით, 8 უბ., სურპ. კარაპეტის აღმართი, კაპიტ. ვალი 8640 მ. 87 კ., დარჩენილი გადასახადი 1389 მ. 23 კ.

5167. ვარძიგულოვი ალექსანდრა, მიწა ზომით 72 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება ორსართულიანი სახლით, ერთი ორ-სართულიან და მეორე ერთსართულიანი ფლიგელით, 7 უბ., პოკროვსკის ქ., № 18, კაპიტ. ვალი 5.233 მან. 65 კ., დარჩენილი გადასახადი 1.471 მ. 14 კ.

5260. ბრიგადირ ოვსეი, მიწა ზომით 50⁷/₈ კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით, 1 უბ. ვერის დაღმართი, კაპ. ვალი 10.558 მ. 18 კ. დარჩენილი გადასახადი 1.234 მან. 47 კაპ.

5495. რუდაკოვ ვასილი და გოლუბკოვი ივანე, მიწის ნაჭერი ზომით 307,2 კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით 8 უბ. დესიმონოვის ქ., კაპ. ვალი 21.496 მ. 21 კ. დარჩენილი გადასახადი 3.329 მ. 24 კ.

5505. ასრიევ ბარსეგ, იგივე ვასილი, მიწის ნაჭერი, ზომით 242 კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით, 9 უბ. ვორონცოვის განაპირა ქ., კაპ. ვალი 17.555 მან. 26 კ., დარჩენილი გადასადი 2.694 მ. 64 კ.

5793. ტამაშევი ვარვარა, ნინო, სოფიო, იური და ალექსანდრა, მიწა ზომით 432 კ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება, 1 უბ. ოლღას ქ., კაპ. ვალი 12.744 მ. 75 კ. დარჩენილი გადასახადი 1.394 მ. 76 კ.

5907. სტანიშევსკი ვასილი, მიწა ზომით 153⁵/₈ კვ. საჟ., ან რამდენიმე აღმოჩნდება ორსართულიანი სახლი სარდაფით ისეთივე ფლიგელით, 2 უბ. არტილერიისა და სალდათიე ქ. კაპიტ. ვალი 18,206 მან. 79 კაპ. დარჩენილი გადასახადი 5104 მან. 27 კ.

5857. კრიხელი ზებულონი, მიწის ნაჭერი ზომით 63 კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება, შენობებით, 1 უბ. მლეთის შესახ. და მლეთის ტუპ. კუთხე, კაპ. ვალი 11.834 მ. 41 კ. დარჩენილი გადასახადი 2,087 მ. 77 კ.

6173. ხან-პირა ფრიდრიხ-იოსებ, გუსტავალბერტი, მელქისედეგ-იონის იოგანესი, ფეინდრიხ-კარლ, ვილგემ-ვიქტორ და ანნა-მაგდალინა. მიწა ზომით 744,895 კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება ორსართულიანი სახლით ნაწილი სამსართულიანი, სამი ერთ სართულიანი და ერთი ორსართულიანი ფლიგელებით 10 უბ. მიხეილის პრ. კაპიტ. ვალი 171,660 მან. 68 კ., დარჩენილი გადასახადი 10580 მან.

7131. მელიქოვისა აზნენ, მიწის ნაჭერი ზომით 3308 კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება 1 უბან. ოლღას ქუჩა, კაპიტ. ვალი 58754 მან. 24 კ., დარჩენილი გადასახადი 5605 მან. 72 კ.

ვაჭრობა დაიწყება ზემო აღნიშნულ ვალის გადასახადის ხვედრი ფულის, დამატებით საერთო ჯამით; ამასთანავე მამულზე შერიცხული საქალაქო გადასახადი, აგრეთვე საერობო, სახელმწიფო და სახაზინო გადასახადების შეტანა მყიდველთა ვალდებულება იქნება. საზოგადოებისადმი კაპიტალური ვალი შეიძლება გასწორდეს საზოგადოების ობლიგაციებით შესაფერ სესხზე მათი ნომინალურ ღირებულების მანეთი მანეთზე აგრეთვე შეიძლება გადავიდეს მყიდველებზე, სასწრაფო გადასახადი და სხვა გადაუხდელი კი გასწორდება ნაღდ ფულზე.

წესდების § 73 თანახმად ვაჭრობის დაწყებამდე მოვალეს უფლება ეძლევა შეიტანოს გადაუხდელი ფული პროცენტებით ვადის გასვლისათვის და ყველა გასავალი, რომელიც დასჭირდა მამულის ვაჭრობაში დანიშვნას და ამით გაანთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ყველა ქალალდი, საბუთი, რომელიც ეხება გასაყიდელ მამულს მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ, იგრეთვე მიიღონ საჭირო ცნობები და ამბავი ვაჭრობის პირობათა შესახებ საზოგადოების გამგეობაში დილის ათ საათიდან შუადღის ორ საათამდე, კვირა და ტაბელის დღეების გარდა. 539 2—2

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ქახეთის რკინის გზის საზ. გამგეობა

თანახმად წესდების § 39 იწვევს ბ. ბ. აქციონერებს მორიგ საზოგადო კრებაზე დასასწრებლად შემდეგი საგნების განსახილველათ: 1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების შესახებ და 2. 1919 წ. ანგარიშის დამტკიცება. 598 3—1

დაიკარგა ზედნადების დუბლიკატი № 10,8945 გრიგოლ ჭანტურიას სახელზე ბაქოდან სად. სამტრედიაში თევზის გამოგზავნის 1920 წლ. მარტის 11-ს. 1225 3—1

დაიკარგა პასპორტი № 2415. მიღებული სამურძაყანოს მაზრის მილიციის უფროსისგან ესტატე ნეტუს ძე შონიას სახელზე, 6 თვის ვადით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1219 3—1

ვექილობა, მიცემული გრიგოლ ილიას ძე მაღალოვზე ფერდინანდ პეტრეს ძე ტახტაჯიანის მიერ, და შემოწმებული გარეშე საქმეთა სიმინისტროს კანცელიარიის ვიცე-დირექტორის მიერ 1919 წ. აპრილის 28-ს, № 3041, გაუქმებულია. 1168 3—1

მომარაგების კომიტეტის ყარაულმა ფილიპე პოლშინმა დაჰკარგა იარაღის ტარების მოწმობა, მიდებული შინ. საქ. სამინ. და კომიტეტის მოწმობა, რომ მსახურებს № 1849. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1182 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა დიმიტრი მახვილაძის სახელზე, მიღებული ტფილ. სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამართველოდან. გაუქმებულად ჩაითვლება. 1160 3—2

დაიკარგა 6 კლასის ატესტატი, მიცემული ტფილისის რეალურ სასწავლებლიდან და იმავე სასწავლებლის 7 კლასის მოწმობა გრიგოლ არისტოკელის ძე ზარგარიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1466 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიცემული ტფილ. ყოფილ პოლიცმეისტრის სამმართველოდან გიგო ნიკოლოზის ძე ტომარაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1153 3-2

დაიკარგა უვადო პასპორტი ისაკ გიორგის ძე მიქელაძის სახელზე, ვინტოვკის ტარების ნებართვა, მიღებული სახალხო გვარდიის 1 რაიონის შტაბიდან და მეტრიკული ამონაწერი ნიკოლოზ მიქელაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1124 3—2

დაკარგულია უვადო პასპორტი № 5224 მიცემული ტფილ. პოლიცმეისტ. სამართველოდან 1907 წ. მაისის 20-ს ვლადისლავ ივანეს ძე დევიცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1135 3—2

დაკარგულია მოწმობა № 151 მიცემული სარეგისტრაციო კომისიის მიერ სურენ ესაიანცზე „დიატო"-ს სისტემის ავტომობილის, მატორის № 302. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1130 3—2

დაიკარგა პაკროვის ბანდში. № 14 მდებარე ნატალია ავაკიმის ასულის მოსესოვას სახლის დავთარი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1052 3—2

დაიკარგა მიხეილ კაპანაძის ორი ცხენის უვარგისათ ცნობის მოწმობა, მიღებული სამობილიზაციო კომისიისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1053 3—2

დაიკარგა მეეტლეობის მოწმობა ნიკოლოზ ივანეს ძე შკინინის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1054 3—2

დაიკარგა სოლოლაკში № 2 კონდახჩევის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1134 3—2

დაიკარგა სასურსათო ბარათი ტატე იმედაშვილის სახელზე № 6845, 3 სულის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1122 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრის მოხდის ვადის გაგრძელების მოწმობა № 6459, ნიკოლოზ არსენის ძე ჩაჩუას სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1919 წ. 12 ნოემბერს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1071 3—3

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული ლექციების წიგნაკი ნიკო ილიას ძე შაფაქიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1152 3—3

დაიკარგა მოწმობა სათადარიგო ოფიცერის სიმონ ანტონის ძე ლორიასი ტფილისის სამხედრო უფროსისაგან მიცემული. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1125 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი სომეხთა ნერსესიანის სემინარიის მამულისა, რომელიც იმყოფება მესაძე კომისარიატში მჭედლების და რუსის ქუჩებზე, № 1/2. 1147 3—3

დაიკარგა 1919 წ. საბინაო წიგნაკი, რაზიეზჟი ქ., № 14 მდებარე სახლისა, ფოჩხიძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1172 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა გაცემული გენერალური შტაბის მიერ 1918 წ. 1912|5815 ვასილი მიხეილის ძე პაპიაშვილის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1183 3—3

---

24 მაისს, დილის 10 საათზე გოლოვინის პრ. დაიკარგა პატარა 4 წლის ბავშვი—ქალია, მარცხენა კანჭზე წითელი ნიშანი აქვს, ჭრელი თვალები, ქერა თმა, ტანზე ზოლიანი ქვედა ტანი და წითელი ზედა ტანი აცვია. მნახველს ვსთხოვ ბავშვი მოიყვანოს, გოლოვინის პრ. № 18. მეეზოვე ბაღდასარ კირაკოზოვთან. უფ. 3—3

დაიკარგა ნაყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 28 აპრილს 1919 წელს № 548. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1227 3-3

დაიკარგა კვიტანცია ორი ცხენზე ბაქის გადახდის შესახებ აგაფია ივანეს ასული შკინინის სახელზე, მიღებული ქალაქის გამგეობის საზედამხედველოდან 1920 წ. 20 აპრილს გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1055 3—2

დაიკარგა პასპორტი № 1 ვასილი პეტრეს ძე ქორქაშვილის სახელზე, მიღებული სოხუმის პოლიციის სამმართველოდან გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1169 3—2

დაიკარგა პასპორტი № 281 ლუკერია გიორგის ასული საკაძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1139 3—3

დაიკარგა ტფილისის მეორე ქალთა გიმნაზიის მიერ გაცემული მოწმობა და გორის ქალთა გიმნაზიის შვიდი კლასის დამთავრების ატესტატი ანნა იაკოფის ასული შიხინოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1177 3-3

დაიკარგა ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოს მიერ გაცემული მოწმობა № 5417 ამაიკ ავანჯანის ძე ვანიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1175 3—3

დაიკარგა ტფ. სასულიერო სემინარიის ორი კლასის დამთავრების მოწმობა გაბრიელ ევგენის ძე ჩიკვაიძის სახელზე, მიღებული ტფ. მე-8 გიმნაზიიდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1154 3—3

დაიკარგა ტფილისის კერძო ლომბარდის 2000 მან. ბილეთი № 87667. გაუქმებულად ჩაითვლება. 1117 3—3

დაიკარგა პასპორტი ბოგდან სერგოს ძე ოგანჯანოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტერის სამართველოდან 1911 წლ. გაუქმებულად ჩაითვლება. 1118 3—3

ვაუქმებ ვექილობას, მიცემულს ჩემ მიერ ანტონ სოლომონის ძე თამაროვზე. 3—3

დაიკარგა პასპორტი № 1540, მიცემული დონის როსტოვის პოლიციის სამართველოდან ვასილ მიხეილის ძე ტარანოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1111 3-3

დაიკარგა რესტორანში ვაჭრობის ნებართვა № 1096, მიღებული ქალაქის გამგეობიდან 1920 წლ. 24 აპრილს და ქალაქის კასაში 300 მ. შეტანის კვიტანცია № 930. რაქდენ სოლომონის ძე ბაზაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1093 3—3

დაკარგა საბინაო წიგნი სტეფანოვების სახლისა, რომელიც მდებარეობს კარაკლისის ქ., № 8, მე-8 უბან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1066 3—3

დაიკარგა პასპორტი № 338, მიცემული გორის მაზრის კომისარიატიდან არუთინ სერგის ძე აირაპეტოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1148 3—3

დაიკარგა პასპორტი № 2713 ევდოკია პავლეს ასული დონევსკის სახელზე, მიღებული რუსთა ნაციონალურ საბჭოდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1075 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიცემული ტფილ. მილიციის სამართველოდან თამარ ბასილის ასული არხიპოვას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1123 3—3

დაიკარგა ტფილისში სასომხეთის კონსულის მიერ გაცემული პასპორტი № 876/1478, ბაგრატ ოსიფის ძე მელიქ-არუსტამოვის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1073 3—3

პახელ მევ ნახეთა და მეღვინეთა აქციონერული საზოგადოება „კახური ღვინო"-ს გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ

წლიური საზოგადო კრება დანიშნულია 6 ს ივნისს

დილის 11-ს საათზედ ქ. ტფილისში ცენტრობანკის ბინაზედ.

განსახილველია:

1) წარსული 1919 წლ. ანგარიში.
2) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
3) მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა სხვა და სხვა საზოგადოების შინაური საქმეების საკითხთა გამო.
4) სარევიზით კომისიის წევრებისა და მათ კანდიდატების არჩევნები, თანახმად § 21 წესდების. 1084 2—2